

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №5

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის

შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №5

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი მაღალტექნოლოგიური, მინიმუმ 190 საწოლიანი, მრავალპროფილური ჰოსპიტალი სანჯონის სამედიცინო კლასტერში, გენერალური გეგმის შესაბამისად

გადასაცემი ობიექტები:

- სს "აკადემიკოს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი;
- შპს "თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფო";
- შპს "თბილისის მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა";
- შპს "თბილისის №5 სამშობიარი სახლი".

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

- საბანკო გარანტიის წარმოდგენა მაქსიმალური თანხით;
- საბანკო გარანტიით ერთი და იგივე თანხის წარმოდგენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მშენებლობის დასრულების ვადას.

შერჩევაში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს 2 850 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საბუთების წარმოდგენა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702, 13 აპრილის 17 სთ.-მდე.

წინადადებები შერჩევისათვის წარმოსადგენი იქნება დახურულ კონვერტებში.

კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801; 13 აპრილს, 17 სთ. და 30 წუთზე. შემოთავაზების გაუმჯობესება არ მიიღება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01.

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №5 - კონკურსის შედეგები

13 აპრილს ცნობილი გახდა ჯანდაცვის სექტორში

ინვესტიციების მოსაზიდად მიმდინარე მორიგი კონკურსის საბოლოო შედეგები - ჰოსპიტალური სექტორის განვითარების მე-5 პროექტის გამარჯვებულად შპს "ბლოკ-ჯორჯია" დასახელდა.

ჩეხურ-ქართული კომპანია "ბლოკ-ჯორჯია" სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებას იღებს, რომ 17 თვეში სანჯონის სამედიცინო კლასტერში ააშენებს მაღალტექნოლოგიურ, 190 საწოლიან მრავალპროფილიან ჰოსპიტალს. პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად კომპანიამ წარმოადგინა 13 000 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია. ახალი საავადმყოფოს აშენების სანაცვლოდ "ბლოკ-ჯორჯიას" გადაეცემა სს "აკადემიკოს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი", შპს "თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფო", შპს "თბილისის მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა" და შპს "თბილისის №5 სამშობიარო სახლი".

საკონკურსო პირობების თანახმად, გამარჯვებულის გამოვლენის ძირითადი პირობა იყო მაქსიმალური საბანკო გარანტია და მშენებლობის დასრულების ვადები. სწორედ ამ კრიტერიუმებით აჯობა "ბლოკ-ჯორჯიამ" კონკურსის მეორე მონაწილეს, შპს "მ.მ.რ. ჯგუფს", რომლებმაც საბანკო გარანტიად 6 200 000 აშშ დოლარი, მშენებლობის ვადად კი 18 თვე დაასახელა